საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №314
2019 წლის 11 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **პირველი მუხლის „გ^{1}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ^{1}) გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე – 101001000. სახელმწიფო ხაზინის მიერ, საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, გადასახადების აღრიცხვის საფუძველს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – სსიპ – შემოსავლების სამსახური) ინფორმაცია გადასახადების სახით ერთიან კოდზე ჩარიცხული გადასახადების ფაქტობრივი საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულებების მიხედვით გადანაწილების შესახებ.“.

2. **ბრძანების დანართ №3-ში:**

ა) სახაზინო კოდები – 3289 – „შემოსავალი შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენის (გარდა შავი ლითონის წარმოების ნარჩენისა) ექსპორტის მომსახურების ტარიფიდან“ და 3290 – „შემოსავალი შავი ლითონის წარმოების ნარჩენის ექსპორტის მომსახურების ტარიფიდან“ – ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შემოსავალი შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენის (შავი ლითონის წარმოების ნარჩენის, ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობისა და შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებული შავი ლითონის ჯართის გარდა) ექსპორტის მომსახურების საფასურიდან	3289“;
„შემოსავალი შავი ლითონის წარმოების ნარჩენის ექსპორტის მომსახურების საფასურიდან	3290“;

ბ) სახაზინო კოდები – 3293 – „შემოსავალი ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობის ექსპორტის მომსახურების ტარიფიდან“ და 3294 – „შემოსავალი შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებული შავი ლითონის ჯართის ექსპორტის მომსახურების ტარიფიდან“ – ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შემოსავალი ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობის ექსპორტის მომსახურების საფასურიდან	3293“;
„შემოსავალი შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებული შავი ლითონის ჯართის ექსპორტის მომსახურების საფასურიდან	3294“;

გ) სახაზინო კოდი – 7021 – „სსიპ - საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასური“ – ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სსიპ - საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასური (შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენის, შავი ლითონის წარმოების ნარჩენის, ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობისა და შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებული შავი ლითონის ჯართის ექსპორტის მომსახურების საფასურის გარდა)	7021“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ივანე მაჭავარიანი**